

ქალაქ ქუთაისში, ქიული შარგავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის
N48 ბინაზე, მოქალაქე იზოლდა სვანიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ქიული შარგავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაში მცხოვრები მოქალაქე იზოლდა სვანიძის წარმომადგენლის დავით ბზიკაძის განცხადება /2012 წლის 03.12 Nბ-9937/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ქიული შარგავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N48 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე იზოლდა სვანიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ქიული შარგავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე იზოლდა სვანიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ქიული შარგავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე /საერთო ფართობი 77,80 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 49,66 კვ.მ, დამხმარე ფართობი 28,14 კვ.მ./ მოქალაქე იზოლდა სვანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგვიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგვაძე